სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიაზე*

თამაზ გამყრელიძე სვამს საკითხს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად საქართველოს მიღების შესახებ

პატივცემულო თავმჯდომარე, პატივცემულო სახალხო დეპუტატებო!

მე მინდა ზოგიერთი მოსაზრება მოგახსენოთ ფედერაციის შესახებ კანონპროექტის მე-5 მუხლის თაობაზე, რომელიც ეხება მოკავშირე რესპუბლიკათა უფლებამოსილებას, „*დაამყარონ კავშირი უცხოურ სახელმწიფოებთან და მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში*“.

გვარწმუნებენ, რომ ცენტრალური ხელისუფლება მიისწრაფვის ახალი კავშირის აგებისაკენ სუვერენული და დამოუკიდებელი რესპუბლიკებით. ამგვარი კავშირი ჩვენ წარმოგვიდგენია, როგორც ნამდვილად თანასწორუფლებიან რესპუბლიკათა გაერთიანება, და არა როგორც ისეთი კავშირი, რომელშიც, თუ ჯორჯ ორუელის პარაფრაზირებას მოვახდენთ, ყველანი „*თანაბარია*“, მაგრამ ზოგი „*უფრო თანასწორია*“, ვიდრე სხვა.

რესპუბლიკათა თანაბარუფლებიანობასა და სუვერენიტეტზე სსრ კავშირის არსებობის ახლანდელ ეტაპზეც ლაპარაკობენ, კავშირისა, რომელიც თითქოს აერთიანებს დამოუკიდებელ და სრულუფლებიან რესპუბლიკებს, თავიანთი უზენაესი საბჭო რომ აქვთ, თავიანთი მინისტრთა საბჭო, საკუთარი საგარეო საქმეთა სამინისტრო, ზოგიერთ რესპუბლიკას – საკუთარი პრეზიდენტიც კი ჰყავს...

ასეთ ვითარებაში სსრ კავშირის გარდაქმნის ამ ეტაპზეც კი დროულია დავსვათ საკითხი თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის (და არა მხოლოდ ზოგიერთის) შესვლის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მის სრულუფლებიან და დამოუკიდებელ წევრად.

ასეთ შემთხვევაში სამოკავშირეო ინტერესები ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში შეეძლებოდა წარმოედგინა თითოეულ ამ მოკავშირე რესპუბლიკას მონაცვლეობით.

მე ვსვამ საკითხს, აღიძრას შუამდგომლობა სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე, რათა თითოეული მოკავშირე რესპუბლიკა შევიდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში როგორც მისი სრულუფლებიანი წევრი, არსებული კონსტიტუციური ნორმების შესაბამისად, და გთხოვთ, სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ კენჭი უყაროს ჩემს ამ წინადადებას.

1990 წლის 26 აპრილი.

ქრონიკა, 1990 წ. 2 მაისი.